



საქართველოში რუსეთის მავნე ქცევა ინსტრუმენტთა ფართო წყებას მოიცავს,
დაწყებული კიბერ-თავდასხმებით, დემინფორმაციის სააგენტოების მთელ არმიამდე,
რომლებიც თავს ეროვნულ ძალებად წარმოიქმნას ცდილობენ,
სინამდვილეში კი რუსულ მსოფლმხედველობას ავრცელებენ

გამეთი ფაქტ-მეტრი

ავტორი: მარიამ წინწიკაშვილი

ზამთრის სემონს ხშირად ახასიათებს გრიპით დაინფიცირების გამრდილი შემთხვევები. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს, თუმცა მიმდინარე წლის სემონური გრიპთან დაკავშირებით ვითარება მნიშვნელოვნად დამძიმდა და ამ დროისთვის საქართველოში ე.წ. „ღორის გრიპის“ 200-მდე შემთხვევაა დაფიქსირებული. არასახარბიელო ვითარებით მანიპულირება დაუწყონებლივ დაიწყო ანტიდასავლური დემინფორმაციის ცნობილი წყაროებმა. ახალი ამბების რამდენიმე სააგენტომ და უდრანაცონადისტური ჯგუფების ბევრმა მხარდაჭერმა, რომელთა სახელი ხშირად უკავშირდება ყაღბ ამბების გავრცელებას, სემონური ვირუსის არსებობა საქართველოში მოქმედ ღუგარის დაბორატორიასთან დააკავშირეს. გრიპით გამონვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლის გამრდის შემდეგ, „ქართული მარშის“ ყოფილი რიდერმა, დედო სადლობელაშვილმა, დაბორატორიის მუშაობის შეჩერება მოითხოვა იქამდე, სანამ დაბორატორიის მუშაობა საზოგადოებისთვის ღია და გამჭვირვალე არ გახდებოდა. ახალი ამბების ონლაინ სააგენტომ news.net.ge გამოაქვეყნა სტატია, სადაც ღუგარის დაბორატორიაში გრიპზე კვლევის ჩატარების ფაქტი დაკავშირებულია შეთქმულების თეორიასთან, რომ ქვეყანაში H1N1 ტიპის ვირუსის გავრცელება დაბორატორიის კვლევითი საქმიანობის ბრალია.

ღუგარის დაბორატორიის შესახებ მანიპულირაციები ახალი არ არის. დაბორატორიის შესახებ მითების გავრცელება მხოლოდ ქვეყნის შიგნით არ ხდება და ახლო წარსულში აღნიშნულს ადგილი ჰქონდა რუსი მაღალჩინოსნების მხრიდანაც. საკითხი დაუსრულებლად განიხილება ანტიდასავლური პროპაგანდის სხვადასხვა არხის მიერ, რომელთა საბოლოო მიზანსაც წარმოადგენს დემინფორმაციის უწყვეტი განმეორების გზით, საზოგადოების ყაღბ ამბავში დარწმუნება. ცენტრის შექმნის დღიდან, რუსული პროპაგანდა საქართველოში სისტემატურად ეწევა დემინფორმაციას მისი საქმიანობის შესახებ და ამტკიცებს, რომ დაბორატორიის მეცნიერები ადამიანებზე სიცოცხლისთვის საშიშ ექსპერიმენტებს ატარებენ ან ამბობს, რომ ცენტრში ქმნიან ხელოვნურ ვირუსებს, რომ დააინფიცირონ და მოსპონ მოსახლეობა როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. რუსული პროპაგანდა იქამდეც მიდის, რომ ცენტრს ადანაშაულებს H1N1 ვირუსის გავრცელებაში, ზიკას ვირუსით კოლოების დაინფიცირებაში და აზიური ფაროსანას აფხაზეთში და რუსეთის სამხრეთ ტერიტორიაზე შეყვანაში. დემინფორმაციის ერთ-ერთ კამპანიაში, აფხაზეთის ე.წ. „უშიშროების საბჭოს მდივანმა“, მუჰამედ კიღბამ, დაბორატორია აფხაზეთის საზღვრის სიახლოვეს ბიოლოგიური იარაღის წარმოებაში დადანაშაულა. მისივე ვარაუდით, 2013 წელს ტყვარჩელში ბავშვების მასობრივი მოწამვლა, ისევე როგორც ღორის გრიპის შემთხვევების დაფიქსირება, დაბორატორიის საქმიანობას უკავშირდება.



მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი ხშირად ხდება დეზინფორმაციის თავდასხმების სამიზნე, გასულ წელს კრემლის პროპაგანდას აღარ გამოუყენებია რუსული ან ქართული მედიააშუალებების საფარი და წლების მანძილზე კურტივირებული ფარული ნარატივი სახელმწიფო კამპანიის დონემდე აიყვანა, რომელსაც თავდაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროები ახმოვანებდნენ.

2018 წლის 4 ოქტომბერს, რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციური, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების მეთაურმა, გენერალმა იგორ კირილოვმა, განაცხადა, რომ აშშ საქართველოში მოქმედ დაბორატორიებს საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევებით იყენებს ბიოლოგიური იარაღის აგენტების შესაქმნელად და გამოსაყენებლად. გენერალმა კირილოვმა პრესკონფერენციაზე წარმოადგინა საქართველოში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან „გაჟონირი საიდუმლო დოკუმენტები“, რომელთა გამოყენებითაც, იგი ამტკიცებდა, რომ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის ცენტრში მიმდინარეობს უკიდურესად მომწამვლელი და სასიკვდილო ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტის კვლევა“. შემთხვევითი არ არის, რომ კირილოვის განცხადებებამდე ერთი თვით ადრე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა, რომ საქართველოში მოქმედი ბიოდაბორატორია წარმოადგენდა რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებში აშშ-ის მიერ სამხედრო-სამედიცინო ინსტიტუტების შექმნის მაგალითს, სადაც სამხედრო პერსონალი სამედიცინო ეთიკისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, ექსპერიმენტებს ატარებს საქართველოს მოქალაქეებზე. თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების შემდეგ, „ვადაის კრუზის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, პუტინმაც განაცხადა, რომ „აღნიშნული კვლევები უკავშირდება გენეტიკის დარგში ბოლოდროინდელ მიღწევებს და ადასტურებს, რომ მიმდინარეობს ისეთი პრეპარატების შემუშავება, რომელთაც შეუძლიათ ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა მათი ეთნიკური კუთვნილების შესაბამისად“.

წარმოდგენილ ბრადებებს დაუყოვნებლივ უპასუხა პენტაგონის პრესსპიკერმა ერიკ პაპონმა და რუსეთის მცდელობებს დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის კამპანიის ნაწილი უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ დუგარის დაბორატორიის წინააღმდეგ წამოწყებული უკანასკნელი კამპანია რუსეთის მავნებელი ქცევის კიდევ ერთი მაგალითია, საქართველოს მთავრობას არ უსარგებლია შემთხვევით, რომ საერთაშორისო მასშტაბით გამოემჟღავნებინა კრემლის პროპაგანდისტული მანქანა. დუგარის დაბორატორიასთან დაკავშირებული ამბავი BBC-ის ყურადღების ცენტრშიც მოექცა. კერძოდ, მსოფლიოს წამყვანმა ახალი ამბების სააგენტომ დაადგინა, რომ რუსულმა მედიამ და რუსმა თანამდებობის პირებმა საქართველოში, აშშ-ის დაფინანსებული დაბორატორიების შესახებ მცდარი განცხადებები გააკეთეს.

რეაღრად, დაბორატორიის საქმიანობა მოიცავს ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებზე ეპიდემიოლოგიური და დაბორატორიული ზედამხედველობის განხორციელებას, ასევე, დაავადებათა შემთხვევების, ეპიდემიური აფეთქებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვა საფრთხეების დროულ აღმოჩენასა და კვლევას. საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და კვლევის ცენტრი 2013 წელს დაარსდა და ამჟამად საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დაქვემდებარებაში მოქმედებს. ყაღბი ბრადებების გამო, ქართულმა მედია სააგენტოებმა, პოლიტიკოსებმა, ექსპერტებმა და დაბორატორიის თანამშრომლებმა მედია რეპორტაჟებისა და დაბორატორიაში ვიზიტების მეშვეობით ამხილეს ყაღბი ამბები და კონსპირაციული თეორიები. მიუხედავად ამისა, ანტიდასავლურ არხები განაგრძობენ ცენტრის დისკრედიტაციას. კერძოდ, ცენტრს წარმოაჩენენ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ამერიკულ იარაღად და შესაბამისად ცდილობენ, ევროატლანტიკური გაერთიანების მიმართ სკეპტიციზმის გაღვივებას.

2016 წლიდან ახალი ამბების სათაურებში დომინირებს ამბები, სადაც მხილებულია რუსეთის მავნე ზეგავლენა ვაშინგტონზე და ევროპულ დედაქალაქებზე. თუმცა, იშვიათად ჩნდება ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ახდენს კრემლი საქართველოში არაკონვენციური იარაღების ინსტრუმენტალიზაციას, მაშინ როდესაც რეაღიარებ, ღუგარის ცენტრის შესახებ გაჟღერებული ყაღბი ბრადებები მხოლოდ დიდი კამპანიის ნაწილია. საქართველო ათწლეულების მანძილზე წარმოადგენს რუსეთის საინფორმაციო ომის სამიზნეს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, სწორედ საქართველო იყო კრემლის კიბერ-შეტევების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი და კვდავაც რჩება დემინფორმაციული თავდასხმების სამიზნედ, რომელთა მიზანსაც საქართველოს დასავლური ინტეგრაციისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეჩერება წარმოადგენს. საქართველოში რუსეთის მავნე ქცევა ინსტრუმენტთა ფართო წყებას მოიცავს, დაწყებული კიბერ-თავდასხმებით, დემინფორმაციის სააგენტოების მთელ არმიამდე, რომლებიც თავს ეროვნულ ძალებად წარმოიქმნას ცდილობენ, სინამდვილეში კი, რუსულ მსოფლმხედველობას ავრცელებენ. რუსეთის მავნე ზეგავლენის ანატომია ფართოა და საქართველოზე ბენოლის ბერკეტებიც საკმაოდ შემაშფოთებელია. ამ ფონზე, საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მზა რეცეპტი არის ყაღბ ამბებში მოყვანილი ფაქტების გადამოწმება და მოსახლეობის დარწმუნება, რომ არ გახდნენ დემინფორმაციის მსხვერპლი.

ინფორმაციის ხანაში, კონვენციური იარაღი აღარაა გავლენის მოპოვების ერთადერთი საშუალება. ძადა აღარ განისაზღვრება მხოლოდ იმით თუ ვისი ჯარი მოერევა და მნიშვნელოვანია ისიც, თუ ვისი „ამბავი“ იმარჯვებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობას აღიარებული აქვს რუსული მხარიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეები, საჭიროა, რომ ეს გამოწვევები კიდევ უფრო სერიოზულად იქნეს გააზრებული. აუცილებელია, რომ ჰიბრიდულ საფრთხეებზე საპასუხოდ, საქართველომ შეიმუშავოს ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაცია, რომელიც, ერთი მხრივ, გაზრდის მოსახლეობის მედეგობას ყაღბი ამბების მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო მასშტაბით რუსეთის მავნებლური და აგრესიული ქმედებების დუსტრაციას კიდევ უფრო აშკარად მოახდენს.